



საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
(ფედამინის მეგობრები - საქართველო)



გარემო და საზოგადოება

საქართველოს მთვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცხავა. № 2 (20) 2012 წელი

მომზადებულია პროექტის "დავასუფთაოთ საქართველო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში" ფარგლებში



საქართვალოში მნიშვნელოვანი ეკონომიკის განვითარების
სიტუაციის ანალიზი - მყარი საყოფაცხოვრებო
ნარჩენების რაციალიზაციის მაგალითი



შურნალი გამოიცა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს
ფინანსური უზრუნველყოფით პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო -
საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო
ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ფარგლებში.

შესავალი

ათასწლეულის მიჯნაზე, მსოფლიოში წარმოქმნილმა გლობალურმა, ეკონომიკურმა და ეკოლოგიურმა კრიზისებმა დღის წესრიგში დააყენა, არსებული ეკონომიკური კონცეფციების და გარემოსთან დამოკიდებულების ცვლილების აუცილებლობა. არსებულმა ე.წ. „ყავისფერი ეკონომიკის“ მიღებობმა, სადაც მთავარი აქცენტები გადატანილია ეკონომიკურ ზრდაზე და უგულებელყოფილია სოციალური და გარემოსდაცვითი საჭიროებები, ვერ უზრუნველყო ეკონომიკური კრიზისების თავიდან აცილება, სიღარიბის დაძლევა და გარემოსდაცვითი რისკების შემცირება. თუმცა არსებობს საყოველთაო შეთანხმება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, მდგრადი განითარების მექაზმების დასანერგად, რომლის მიხედვითც აუცილებელია დაიძლიოს დისბალანსი ადამიანის კეთილდღეობის განმსაზღვრელ სამძირითად საყრდენს შორის, როგორიც არის ეკონომიკური სარგებელი, ადამიანის ღირესეული შრომისა და ცხოვრების პირობები, ბუნებრივი და საარსებო გარემოსთან ჰარმონიული თანაარსებობა.

აღნიშნული გამოწვევის საპირწონედ შემუშავდა განვითარების ახალი ეკონომიკური კონცეფცია და ხედვა ე.წ. „მწვანე ეკონომიკა“, „რომელიც შეძლებს ბუნებრივი და ფინანსური კაპიტალის ბევრად უფრო ეფექტურად და ეფექტურად მიმართვას პროგნოზირებად მომავალში“¹.

განვითარების „მწვანე“ სტრატეგია, მიმართულია ეკონომიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის ურთიერთშემავსებელ ასპექტებზე. კერძოდ, „მწვანე“ ეკონომიკის კონცეფციის მთავარი ამოცანაა: ა) ეკონომიკურ საქმიანობაში სრულად იყოს ასახული ბუნებრივი და სოციალური კაპიტალის ღირებულება, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი, განისაზღვროს მისი როლი წარმოების ზრდასა და ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებაში². ბ) შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება, ეფექტური ეკონომიკური მეთოდების ამოქმედებით.

ნარჩენების მართვის საქმიანობის „გამწვანება“

ნარჩენების მართვის სექტორის გამწვანება გულისხმობს, ნარჩენების მართვაში მწვანე ეკონომიკის პრინციპებისა და მიდგომების დანერგვას, კერძოდ:

- 1) ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებას - მდგრად განვითარებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი პრაქტიკის მეშვეობით;
- 2) ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას;
- 3) ნარჩენების მეორადი გადამუშავებით და რეციკლირებით გამოსაყენებლად ვარგისი პროდუქციის წარმოებას;
- 4) ნარჩენებისგან მეორადი ნედლეულის და ენერგიის მიღებას.
- 5) ნებისმიერი გამოუსადეგარი ნარჩენის გადამუშავებას და განთავსებას, გარემოს დამზოგავი ან ნაკლებ დამაზიანებელი მეთოდით;³

საქართველოში, ნარჩენების განთავსებისა და გადამუშავების არსებული მიდგომები და პრაქტიკა, ძირათად ეყრდნობა ნარჩენების გადამუშავების „მილის-ბოლოში“ პრინციპს და იყენებს ნარჩენების მოცილების ისეთ არამიზანშეწონილ მეთოდებს, როგორიცაა ნარჩენების დაწვა (ენერგიის მიღების გარეშე) და ნაგადსაყრელზე გატანა. სექტორის „გამწვანებისათვის“ აუცილებელია მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე გადასვლა, რომელიც ეფუძნება ნარჩენების მართვის იერარქიას, რაც გულისხმობს, ნარჩენების მართვას კომპლექსურად, მისი წარმოქმნისა და მოძრაობის ყველა საფეხურზე. ნარჩენების მართვის სექტორის „გამწვანებაში“, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ნარჩენების რეციკლირება

¹ Global Green New Deal". Policy brief. United Nations Environment Programme. March 2009.

² OECD, Green growth strategy

³ UNEP, 2011, Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication, The goals and indicators for greening the waste sector.

(ხელახალი გამოყენება, გადამუშავება) და მისი მეორადი ნედლეულის ან პროდუქტის სახით, ხელახალი ჩართვა ეკონომიკურ ციკლში. „მწვანე ეკონომიკის“ პრინციპების რეალიზება და მისი ეფექტურობა ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება ნარჩენების (ხელახალი გამოყენების, გადამუშავების) რეციკლირებისას. კერძოდ, ჩნდება ახალი

სივრცე ეკონომიკური საქმიანობისათვის, იზრდება დასაქმებულთა რიცხვი და ადამიანის კეთილდღეობა, მცირდება გარემოზე ზემოქმედება. რეციკლირების დანერგვისა და განვითარების დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკის „სიმწვანის“ ხარისხს.

ნარჩენების მართვა, ინსტიტუციური მოწყობა და რეგულირების მაქანიზმები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკროპის ეკონომიკური კომისიის მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს გარემოს მდგომარეობის მეორე მიმოხილვა“⁴ და საქართველოში ნარჩენების მართვის სფეროში ჩატარებული სხვადასხა კვლევები⁵ ადასტურებენ, რომ ქვეყანაში ნარჩენების მართვის სექტორი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და საჭიროებს მართვის მეთოდების რადიკალურ ცვლილებებსა და მნიშვნელოვან ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას სექტორის „გამწვანების“ მიმართულებით.

ქვეყანაში ამ დროსთვის არ არის შემუშავებული ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ნარჩენებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ფრაგმენტულია და მხოლოდ ცალკეულ ასპექტს მოიცავს. საქართველოს კანონმდებლობისათვის უცხოა „ნარჩენების მართვის იერარქია“, ნარჩენების პრევენციის დაკავშირება რესურსების დაზოგვასთან და ნარჩენების რესურსად განხილვასთან. არ არსებობს მწარმოებლის პასუხისმგებლობა ნარჩენების მიმართ ან წამახალისებელი მექანიზმები რესურსების დაზოგვისა და ნაკლები ნარჩენის წარმოქმნისათვის.

დღესათვის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დადგენილი წესებით. რაც გულისხმობს ნარჩენების შეგროვებას და ნაგავსაყრელზე განთავსებას. არ არსებობს მოთხოვნები ნარჩენების განცალკევებულად (სეპარაცია) შეგროვებისათვის. მართლია, მსხვილი სამრეწველო მიერ მართვის გენერაცია და მართვა გარემოზე ზემოქმედების ნე-

ბართვის ფარგლებში რეგულირდება, მაგრამ კანონმდებლობაში არაფერია ნათესამი ნარჩენების მინიმიზაციაზე, ახალი უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვაზე და სხვა „წახალისების“ მექნიზმებზე ნარჩენების გადამუშავებასთან დაკავშირებით, რაც მკაფიოდაა განსაზღვრული ეგროკავშირის შესაბამის დირექტივებში.

აქდან გამომდინარე, საქართველოში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პროცესი (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად), გულისხმობს მხოლოდ იმის უზრუნველყოფას, რომ ნარჩენები გროვდებოდეს და ხდებოდეს მისი განთავსება „ნაგავსაყრელებზე“, რაც პრაქტიკულად ფორმალურს ხდის გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და არ უწყობს ხელს ამ სექტორის „გამწვანებას“.

შეზღუდული რესურსების გამო, პრობლემურია ნარჩენების წარმოქმნელი სუბიექტების ინსპექტირება. საერთოდ არ ხდება იმ სამრეწველო ობიექტების მიერ ნარჩენების წარმოქმნის და მართვის კონტროლი, რომლებიც არ ექვემდებარებიან გარემოზე ზემოქმედების ნებართვას. პრობლემურია ნარჩენების მართვის დაგეგმვა. საქართველოს კანონმდებლობით არ მოითხოვება ნარჩენების მართვის გეგმების წარმოდგენა. არ არის დადგენილი ნარჩენების წარმოქმნელის, შემგროვებლის ან გადამტანების მხრიდან ნარჩენების, მათი წყაროების, ტრანსპორტირების საშუალების, გაუვნებლების წესის და სხვა, შესახებ აღრიცხვის წარმოება. არ წარმოებს ნარჩენების მოძრაობის შესახებ სახლმწიფო სტატისტიკა. ქვეყანაში არ არსებობს სანიტარული ნაგავსაყრელები, სადაც მოხ-

⁴ UNECE, Environmental Performance Reviews, Second Review

⁵ Green Business Support Strategy For Georgian Private Business Organizations And Employers' Associations, by Zaal Lomtadze, Nato Kirvalidze

⁶ Environmental Performance Reviews, (Second Review) Chapter 7.6.

დება დახარისხება და/ან ნარჩენებისგან ენერგიის მიღება. არ წარმოებს რეციკლირება, ხოლო კომპოსტირება წარმოებს ზოგიერთ ფერმაში, საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

„ნარჩენების მართვა მოითხოვს გადაწყვეტილების მიღები პირებისაგან სასწავლო ზომების მიღებას. ამ სფეროში, 2003 წლიდან თითქმის არანაირი გაუმჯობესება

არ მომზდარა. არსებული მდგომარეობა დრამატულია. არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა ან სამოქმედო გეგმა. არსებული საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია. პრობლემეურია ინსტიტუციური სტრუქტურების საქმიანობა, პერსონალისა და სახსრების უკმარისობის გამო. კვლავ გრძელდება ნარჩენების არასათანადოდ განთავსება.“⁶

მყარი მუნიციპალური ნარჩენები

საქართველოში წარმოქმნილი მყარი მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობის შესახებ არ არსებობს რაიმე დეტალური და სანდო ინფორმაცია. ნარჩენების სექტორის სხვადასხვა კვლევებში და ანგარიშებში (GEO-ქალაქი თბილისი (2011), Environmental Performance Reviews (Second Review)) გვხვდება გენერირიბული მუნიციპალური ნარჩენების განსხვავებული შეფასებები. „Environmental Performance Reviews“-ს მიხედვით ეს არის 2,4 მილიონი მ3 წელიწადში, საიდანაც მთლიანი მოცულობის 46% მოდის ქ. თბილისზე. „GEO-ქალაქი თბილისი“ (2011) მიხედვით, 350 000 ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენის გენერირება ხდება ქ. თბილისში, რაც შეადგენს ქვეყანაში წარმოქმნილი მყარი მუნიციპალური ნარჩენის 45%. შესაბამისად, საქართველოში

გვაქვს 778 000 ტონა მყარი მუნიციპალური ნარჩენი წელიწადში. აქედან, 70-80% შეადგენს მოსახლეობიდან წარმოქმნილ საყოფაცხოვრებო ნარჩენს, ხოლო 20-30% წარმოქმნილია სხვა წყაროებიდან (როგორიცაა: ოფისები, მაღაზიები, სუპერმარკეტები და სავაჭრო ცენტრები, ბაზრები, ადმინისტრაციული შენობები, სკოლები, რესტორნები, სასტუმროები და ტურისტული დაწესებულებები, ქუჩებსა და ბაღებში შეგროვილი ნარჩენი და სხ.).

ნარჩენების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის სიმწირე, ართულებს ნარჩენების მოცულობის ზრდის დინამიკის დადგენას. თუმცა სხვადასხვა ეკონომიკური შეფასებით, ნავარაუდებია ქვეყანაში მუნიციპალური ნარჩენების ზრდა წელიწადში 2,25%-ით.⁷

მუნიციპალური ნარჩენების სტრუქტურა

მუნიციპალური ნარჩენების სტრუქტურის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს, გერჰარდ ბლუმენროთერის (Blumenrother, Gerhard), „თბილისში წარმოქმნილი ნარჩენების ანალიზი“ (2003 წელი) და სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს მიერ „ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტის“ (2010 წელი) ფარგლებში ჩატარებული ნარჩენების სტრუქტურის კვლევები.





კვლევა გვიჩვენებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების სტრუქტურა 2003-2010 წლებში, პრაქტიკულად არ შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით ორგა-

ნარჩენების შემადგენლობა (კგ) 2003 წ. გერჰარდ ბლუმენროთერი (Blumenrother, Gerhard), 2003 ⁸ „თბილისში წარმოქმნილი ნარჩენების ანალიზი“		ნარჩენების შემადგენლობა (კგ) 2010 წ. გამა, სამეცნიერო-კვლევითი ფირმა, ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი, თბილისი 2010წ.	
ქაღალდი	5 %	ქაღალდი	6 %
პლასტიკური მასალა	6 %	პლასტიკური მასალა	6 %
ინერტული მასალები	5 %	ინერტული მასალები	5 %
ლითონი	3 %	ლითონი	3 %
ტექსტილი/ტყავი	3 %	ტექსტილი/ტყავი	3 %
ორგანული ნარჩენი	33 %	ორგანული ნარჩენი	71 %
ნარჩენი ფრაქცია	40 %	ნარჩენი ფრაქცია	1 %
მწვანე ნარჩენები	3 %	მწვანე ნარჩენები	3 %
ჰიგიენური ნარჩენები	2 %	ჰიგიენური ნარჩენები	2 %

⁷ GEO-ქალაქი თბილისი (2011).

ნული ნარჩენისა და ნარჩენი ფრაქციის ცვლილებებს, რაც შესაძლოა იყოს კვლევის მეთოდოლოგიური განსხვავება და არა რაიმე კონკრეტული ცვლილება. თუმცა, ის რომ ნარჩენების სტრუქტურაში არცერთ შემთხვევაში არ მოხდა მინა, იძლევა არაერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის საშუალებას. კერძოდ, მინა შეყვანილია ნარჩენ ფრაქციაში, ან მუნიციპალურ ნარჩენში მინა გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობით რაც თავისთავად ნიშნავს, რომ ხდება მინის ტარის მასიური შეგროვება ე.წ. „შემგროვე-

ბლების“ მიერ. სხვა ქვეყნების ნარჩენების სტრუქტურის შედარებითი ანალიზი, გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. საქართველოს ნარჩენების სტრუქტურა მსგავსია დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ნარჩენების სტრუქტურისა, რაც გამოიხატება ორგანული ნარჩენის მაღალი შემადგენლობით და ქაღალდის და პლასტიკის შედარებით დაბალი მაჩვენებელით.



წყარო: UNEP, 2011, Towards a Green Economy
ბლუმენროთერი გერჰარდი (Blumenrother, Gerhard, 2003) „თბილისში წარმოქმნილი ნარჩენების ანალიზი“

ნარჩენის ბაზარი

ნარჩენების ბაზრის ჩამოყალიბებას და ზრდას განსაზღვრავს ოთხი ძირითადი ფაქტორი:

- 1) ნარჩენების საერთო მოცულობის ზრდა და წარმოქმნილი ნარჩენების მრავალფეროვნება;
- 2) პოლიტიკური გაცნობიერება იმისა, რომ ეკოლოგიური და ჯანმრთელობის რისკების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ნარჩენების უკეთესად მართვა;
- 3) ურბანიზაცია, მზარდი ეკონომიკის პირობებში, რომელსაც თან სდევს

გაზრდილი ინტერესი უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნის და შესაბამისად ნარჩენების უკეთესად მართვის;

- 4) ნარჩენიდან მიღებული მეორადი ნედლეულის ფორმალური და არაფორმალური ვაჭრობა;

თუმცა, ნარჩენების სექტორის „გამწვანებისათვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომხმარებელთა დამოკიდებულების შეცვლას რეციკლირებული პროდუქტებისადმი. მნიშვნელოვანია, საზოგადოების გა-

რემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, რათა უფრო მეტ ადამიანში გაჩნდეს ნდობა და მოთხოვნა რეციკლირებული პროდუქტების მიმართ.

ჩვენს მიერ, ნარჩენების რეციკლირების საწარმოების კვლევამ გვიჩვენა, რომ საწარმოები ხშირად ცდილობენ დამალონ, რომ პროდუქტია დამზადებულია მეორადი ნედლეულით, რათა არ დააფრთხონ მომხმარებელი. მომხმარებელთა უმრავლესობა არ არის დარწმუნებული მეორადი ნედლეულით მიღებული პროდუქტის უსაფრთხოებაში. ეს პრობლემა დამხასიათებელია ზოგადად მეორადი რესუსრსების ბაზრებისათვის და საჭიროებს „ნარჩენსა“ და „არანარჩენ“ - პროდუქტს შორის განსხვავების ზუსტი დეფინიციების და საზღვრების გავლებას. ნარჩენის უნარი იყოს ხელმეორედ გამოყენებული და ჩართული აღდგენის პროცესში და რისკები, რომელიც შეიძლება გაჩნდეს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან მიმართებაში, მოთხოვს კვალიფიცირებული კრიტერიუმებს „ნარჩენის სტატუსის“ დაკარგვასთან დაკავშირებით და უნდა მოხდეს მისი განსაზღვრა, როგორც მეორადი გადამუშავებისათვის ვარგისი რესურსის. ეს ნიშნავს, ზუსტად განისაზღვროს თუ სად გადის ზღვარი „ნარჩენსა“ და „არანარჩენს“ შორის, რაც იძენს განსაკუთრებულ მნიშველობას, ნარჩენების ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური მოთამაშეებისათვის. ეს ეხება მასალებს, რომლებიც შესაძლებელია აღდგეს, გადამუშავდეს ან მეორადად იქნეს გამოყენებული და შესაბამისად ტერმინებს, „აღდგენა“, „მეორადი გამოყენება“ და „რეციკლირება“.

საქართველოს ნარჩენების მართვის პოლიტიკაში ნარჩენების მართვის „მწვანე“ მიდგომების უგულებელყოფა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნარჩენების ბაზრის ფორმირებაზე.

კერძოდ, მუნიციპალური სამსახურების მიერ შეგროვებული მყარი მუნიციპალური ნარჩენების 100%, ყოველგვარი გადამუშავების გარეშე, განთავსდება ნაგავსაყრელებზე. შესაბამისად ხდება ნარჩენის ამოგდება ეკონომიკური ჯაჭვიდან და ნარჩენის, როგორც მეორადი ნედლეულის ან პროდუქტის ბაზრიდან გაყვანა. ამდენად, გვაქვს სიტუაცია, როცა ნარჩენების ბაზრის 100% არაფორმალურია. ამგვარი არაგონივრული პოლიტიკის წყალობით:

- 1) ზარალდება მოსახლეობა, რადგან მუნიციპალური ნარჩენების „მოვლის“ მთელი ტვირთი გადადის მოსახლეობაზე „ნაგვის“ გადასახადის სახით. კერძოდ, თბილისის მოსახლეობას ტონა მუნიციპალური ნარჩენის მოვლა უჯდება 148 ლარი/წელიწადში და ეს ტვირთი იზრდება ნარჩენების მოცულობის და მრავალფეროვნების ზრდის პარალელურად.
- 2) ვერ ხერხდება ეფექტური ეკონომიკურ მქანიზმების ამოქმდება ნარჩენების შესამცირებლად, ასეთი მიდგომა მოითხოვს სულ უფრო დიდი ნაგავსაყრელების შექმნას, რაც შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის ძირითადი ამოცანის შესრულებას: გამორიცხოს ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული ეკოლოგიური და ჯანმრთელობის რისკები.

სახელმწიფო პოლიტიკა, ნარჩენს განხილავს როგორც ეკონომიკური საქმიანობის თანმდევ ნეგატიურ ტვირთს, რომელიც რაც შეიძლება უსაფრთხოდ უნდა იქნეს მოცილებული, და არა როგორც რესურს, რომელიც უნდა ჩაერთოს განახლებული სახით ეკონომიკურ ჯაჭვში, როგორც მეორადი ნედლეული ან პროდუქტი.

ნარჩენების მართვის მთავარ ამოცანად რჩება წარმოქმნილი ნარჩენის უსაფრთხო გატანა და განთავსება. უგულებელყოფილია, ნარჩენების წარმოქმნის შემცირება და ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენის მინიმიზაცია სუფთა ტექნოლოგიების სტიმულირების, მდგრადი განვითარების პრაქტიკის დანრგვისა და მეორადი გადამუშავების ხელშემწყობი საბაზრო მექანიზმების ამოქმედების გზით. შესაბამისად, საქართველოში დანერგილი და განხორციელებული პრაქტიკა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე გამოწვევებს და საჭიროებს რადიკალურ ცვლილებას ნარჩენების მართვის „გამწვანების“ მიმართულებით.

ნარჩენების სტრუქტურიდან გამომდინარე, მყარი მუნიციპალური ნარჩენის რაოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკვემდებაროს რეციკლირებას და კომპოსტირებას, შეადგენს ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების მთლიანი მოცულობის 89%, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ნარჩენების მართვის არსებული პრაქტიკის არაგონივრული პოლიტიკის წყალობით:

ნაგავსაყრელებზე განთავსებული მყარი მუნიციპალური ნარჩენი

ნარჩენის დასახელება	% საერთო მოცულობაში	ტონა / წელიწადი
ქალალდი	6	46 680
პლასტმასი	6	46 680
ლითონი	3	23 340
ორგანული ნარჩენი	71	55 2380
მწვანე ნარჩენი	3	23 340

წყარო: გერჰარდ ბლუმენროთერი (Blumenrother, Gerhard), 2003წ „თბილისში წარმოქმნილი ნარჩენების ანალიზი“

საქართველოში, დღემდე არ ჩატარებულა ნარჩენების ბაზრის სიღრმისეული კვლევა. სხვადასხვა ანგარიშებში გვხვდება მინიშნებები, რომ არსებობს მცირე საწარმოები, რომლებიც ახდენენ პლასტიკისა და პეტის რეციკლირებას და მცირე რაოდენობით მეორადი ნედლიულის წარმოებას, ასევე ქალალდის მცირე კუსტარული საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ტუალეტის ქალალდს. ამ სექტორის განვითარების მთავარი პრობლემაა გადამუშავების მაღალი ღირებულება და ნარჩენების მოცულობის სიმცირე (ქალაქები თბილისი: საქართველოს დედაქალაქის მდგომარეობის და ტენდენციების ინტეგრირებული გარემოსდაცვითი შეფასება 2011).

მიუხედავად არსებული სკეპტიკური შეფასებებისა, ბოლო 4-5 წლის პერიოდში, საქართველში მიმდინარეობს ნარჩენების ბაზრის აქტიური ფორმირებისა და ჩამოყალიბების პროცესი. ნარჩენების ბაზარზე ხვდება ის მყარი მუნიციპალური ნარჩენი, რომელიც შემგროვებლების მიერ იქნა მოკრებილი და დასაწყობებული ნარჩენების

დაგროვების ან წარმოქმნის სხვადასხვა წყაროებიდან. მიუხედავად ბაზრის არაფორმალურობისა, მოქმედებს შემგროვებელთა ორგანიზებული ქსელი, რომელიც რეაგირებს ნარჩენების ბაზრის მოთხოვნებზე. ნარჩენებზე მოთხოვნას განაპირობებს, როგორც ადგილობრივი რეციკლირების საწარმოები, ასევე მეზობელი ქვეყნების ნარჩენების ბაზრები. საქართველოში ნარჩენების ბაზრის მოცულობა შეიძლება შევაფასოთ წლის განმავლობაში განხორციელებული ნარჩენის ექსპორტისა და ქვეყნის შიგნით რეციკლირებული ნარჩენის შეჯამების მეშვეობით.

საქართველოდან სხვადასხვა სახის ნარჩენის ექსპორტის დინამიკა გვიჩვენებს, რომ ნარჩენების ბაზარი დინამიურია და საკმაოდ მოცულობითი. მისი ექსპორტის მოცულობა შესაძლია სხვა ეკონომიკური სექტორების პროდუქციის ექსპორტის მოცულობასთან. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნარჩენების ექსპორტის მოცულობის წილი მთლიან ექსპორტში მერყეობს 8-12% ფარგლებში.

	ნარჩენების ექსპორტი წლების მიხედვით ათასი ა.შ.შ. დოლარი				
	2007	2008	2009	2010	2011
პლასტმასი	0,2	-	-	65,7	147,9
ქალალდი/მუყაო, მინის ლენი	0,8	0,1	2,2	80,4	409,3
შავი ლითონების ჯართი	96 871,8	128 532,3	63 616,0	109 380,9	116 811,6
სპილენძის ჯართი	37 051,8	29 726,7	19 013,2	41 666,7	48 112,3
ალუმინის ჯართი	16 184,7	14 212,7	5 556,5	13 308,7	17 616,9
სულ ნარჩენების ექსპორტი	150 109,4	172 471,9	88 219,6	164 601,7	183 131,9
ექსპორტი სულ საქართველოდან	123 2110,5	149 5345,2	113 3622,4	167 7472,1	218 9135,8


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოში, ნარჩენების ბაზრის ფორმირება დაიწყო 1990-იანი წლებიდან. საწყის ეტაპზე, ნარჩენების სექტორი დაკავებული იყო შავი და ფერადი ლითონების ჯართის შეგროვებით და ექსპორტით. არ ხდებოდა ნარჩენების რეციკლირება და მეორად ნედლეულად გამოყენება. ფორმირების საწყის ეტაპზე, ნარჩენების ბაზარი იყო ქაოსური და არაორგანიზებული, სადაც ლეგალურ ოპერაციებს სჭარბობდა არალეგალური და ხშირად კრიმინალური საქმიანობა. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ნარჩენების სექტორი გახდა, ქვეყნის ეკონომიკური კოლაფსით გამოწვეული პუმანიტარული კატასტროფის პირას მდგარი მოსახლეობის საარსებო სახსრის შოვნის ხშირად ერთადერთი საშუალება და დასაქმების წყარო. შავი და ფერიდი ლითონების ჯართი, მეორადი ნედლეული და მისგან წარმოებული პროდუქცია, დღესაც საქართველოს დომინანტი საქსპორტო საქონელია. ბოლო ათი წლის


პერიოდში მოხდა ფერადი და შავი ლითონების ნარჩენების მართვის სექტორის ფორმირება და ჩამოყალიბება, რომელიც ამჟამად კარგად გამართული და ორგანიზებულია. საქართველოში მოქმედებს ჯართის შემგროვებელთა ფართო ქსელი. ლითონის ნარჩენებზე ფასები რეაგირებს საერთაშორისო მეორადი ლითონის ბაზრის მოთხოვნებზე. შეიძლება ითქვას, რომ ლითონის ნარჩენების სექტორი კარგად ინტეგრირებულია მსოფლიო ეკონომიკურ ჯაჭვში.

2003-2004 წლიდან, ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ზრდასთან ერთად მოქმედება დაიწყო ნარჩენების რეციკლირების საწარმოებმა. ნარჩენების ბაზარზე გამოჩენდა ას ისეთი პროდუქტები, როგორიცაა მინა, ქალალდი, მუყაო, პლასტმასი. საწყის ეტაპზე, ბაზარი ორიენტირებული იყო ადგილობრივი რეციკლირების საწარმოების მოთხოვნებზე. პროდუქტზე არასტაბილური და მცირე მოთხოვნილების გამო, ბაზარი ატარებდა არაორგანიზებულ სახეს.


**ქაღალდი/მუყაოს ნარჩენის ექსპორტი
ათასი ა.შ.შ. დოლარი**



**პლასტმასის ნარჩენის ექსპორტი
ათასი ა.შ.შ. დოლარი**



**მინის ნარჩენის ექსპორტი
ათასი ა.შ.შ. დოლრი**



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ნარჩენების საბაზრო ფასი		
	ერთეული	ლარი/ერთეული
შავი ლითონი	კილოგრამი	(0,2 -0,4)
სპილენძი	კილოგრამი	(4 - 7)
ალუმინი	კილოგრამი	(1- 2)
მინა	ტონა	(90 - 98)
პლასტმასი	კილოგრამი	(0,2 -0,3)
პეტი	კილოგრამი	(0,5 -0,6)
მუყაო	ტონა	(100 -150)
ქაღალდი	ტონა	(200 - 250)

2007-2008 წლებიდან, ნარჩენების ბაზრის ეს სექტორიც ახერხებს ინტეგრირებას საერთაშორისო ნარჩენების ბაზრებთან, რამაც ხელი შეუწყო ბაზრის მოცულობის სწრაფ ზრდას და მისი ჩამოყალიბების პროცესს. ბაზარზე მეორად რესურსზე მოთხოვნის ზრდის პარალელურად იზრდება ნარჩენის ფასებიც. მიუხედავად ნარჩენების სექტორის (მინა, ქაღალდი, მუყაო, პლასტმასი) დინამიური ზრდისა, ბაზარი ჯერ-ჯერობით ჩამოყალიბების სტადიაშია. ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება შესაძლებელს გახდის ნარჩენების სექტორის მნიშვნელოვან ზრდას და მეტ ინტეგრირებას ნარჩენების გლობალურ ვაჭრობაში.

ნარჩენების რეციკლირების საქმე

ნარჩენების რეციკლირებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ერთდროულად რამდენიმე გარემოსდაცვითი პრობლემის დაძლევის საქმეში (როგორიც არის, კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შერჩილება ან დაბინძურების პრევენცია). რეციკლირება ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ახალი ეკონომიკური ბაზრებისა და სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით. ნარჩენების შეგროვებისა და რეციკლირების სექტორში დასაქმებულია ან თვითდასაქმებულია მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენა და დაბალკვალიფიციური მუშახელი, რასაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს სილარიბის დაძლევის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ კლასიფიკატორში (NACE), რომელსაც ეყრდნობა სახელმწიფო სტატისტიკის სამეწარმეო რესტრი, რეციკლირება ცალკე თავად არის მოცემული, არსებული ეკონომიკური პო-

ლიტიკა რეციკლირებას არ განიხილავს როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ეკონომიკურ აქტივობას. რეციკლირება განიხილება, როგორც ჩვეულებრივი, მოგებაზე ორიენტირებული ბიზნეს საქმიანობა და არ არის შეფასებული ამ სექტორის ეკოლოგიური და სოციალური სარგებელი. შესაბამისად, არ ხდება რეციკლირების ნიშნით საწარმოთა იდენტიფიკაცია და ზუსტი რეესტრის წარმოება.

საქართველოში დღემდე არ ჩატარებულა რეციკლირების სექტორის არც სტატისტიკური არც ანალტიკური კვლევა. შესაბამისად, რაიმე სისტემატიზირებული ინფორმაცია ამ სექტორის შესახებ არ მოიპოვება. „დაგასუფთაოთ საქართველო“ პროექტის ფარგლებში, მოხერხდა რეციკლირების სექტორში მოქმედი საწარმოების საქმიანობის კვლევა, ასევე ნარჩენების ბაზრის შეფასებითი ანალიზი. კვლევამ საშუალება მოგვცა, მეტნაკლებად შეგვევსო სექტორის შესახებ ინფორმაციის სიმწირე.

საქართველოში, მყარი მუნიციპალური ნარჩენების რეციკლირების სექტორი ძირითადად წარმოდგენილია შავი ლითონის რეციკლირებით, რომელსაც უკავია სექტორის 95,4%. მინის რეციკლირებას 4%, ხოლო სხვა ნარჩენებს ერთად (ფერადი ლითონი, პლასტმასი, ქაღალდი, მუყაო) მთელი სექტორის მხოლოდ 0,6%.

რეციკლირებული ნარჩენის განაწილება		
ნარჩენის დასახელება კატეგორიების მიხედვით	ტონა/წელიწადი	%
ლითონი	120 000	95,4
მინა	4 994	4,0
პლასტმასი	182	0,1
მუყაო	200	0,2
ქაღალდი	370	0,3
სულ	125 746	100

შეარო: რეციკლირების საწარმოების კვლევა.

რეციკლირების სექტორი საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს მისი ფორმა-ლიზებისა და გამწვანების მიმართულებით. ნარჩენების სახეების და წარმოქმნის წყაროების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, საჭიროა ნარჩენების დეტალური კლასიფიცირება და შესაბამისად მათგან წარმოებული მეორადი ნედლეულის ან პროდუქტის სტანდარტების დადგენას. ამავე დროს, სხვადასხვა სახეობის და ტი-

პის ნარჩენის შეგროვება და გადამუშავება მოითხოვს განსხვავებული მიდგომებისა და სტრატეგიების შემუშავებას. რეციკლირების განვითარებისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნარჩენების ბაზრების ფორმალიზება და სტრუქტურირება. თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი კონკურენციის გარემოს შექმნა. ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა.

მყარი მუნიციპალური ნარჩენის რეციკლირების (გადამუშავების) სტატუსი

ქვეყანა/რეგიონი	წარმომქმნილი მუნიციპალური ნარჩენი კვ. ერთ სულ მოსახლეობა	სულ მუნიციპალური ნარჩენის გადამუშავება კვ. ერთ სულ მოსახლეობა	მუნიციპალურ ნარჩენის გადამუშავება %			
			გატანილი ნაგასაყრელ ზე	ინსინერაცია	რეციკლირება	კომპოსტირება
საქართველო	236, 3	200,8	86	0	14	0
EU27	513	504	38	20	24	18

წყარო: რეციკლირების საწარმოების კვლევა; Eurostat, Newsrelease,37/2011;
Environment in the EU27 Recycling accounted for a quarter of total municipal waste treated in 2009.

საქართველოში მუნიციპალური ნარჩენის გადამუშავების სტრუქტურის შედარება საშუალო ევროპულ მაჩვემებლებთან, გვიჩვენებს ნარჩენების სექტორის „სიმწვანის“ უაღრესად დაბალ მაჩვენებელზე. არ წარმოებს ნარჩენების ინსინირაცია (დაწვა) და კომპოსტირება. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ რეციკლირებული ნარჩენის მოცულობის 95,4% მოდის მხოლოდ შავი ლითონის რეციკლირებაზე (გადამუშავება), აღმოჩნდება რომ რეალურად, სხვა კომუნალური ნარჩენის რეციკლირების (გადამუშავების) წილი ნაკლებია 1% ზე.

საქართველოში ნარჩენებიდან (შავი ლითონი, მინა, ქაღალდი, მუყაო, პოლიეთილენი და სხვა.) იწარმოება, როგორც მეორადი ნედლეული ასევე ახალი პროდუქცია.

შავი ლითონის რეციკლირება (გადამუშავება)

საქართველოში შავი ლითონის რეციკლირებით დაკავებულია ორი საწარმო

„რუსთავის ფოლდადი“ და „ქართული ფოლდადი“. ორივე საწარმო წარმოადგენს ქართული მძიმე მრეწველობის ფლაგმანს. საწარმოები პროდუქციას აწარმოებენ მეორადი ლითონის ნედლეულისგან, რომელსაც ამზადებენ ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი ჯართისგან (შავი ლითონის ნარჩენი). საწარმოებში შავი ლითონის მეორადი ნედლეულისგან ძირითადად მზადდება მაღალი ხარისხის სხვადასხვა ტიპის სამშენებლო ფოლდადის ღეროები, რომელიც გადის როგორც ადგილობრივ ისე მეზობელი ქვეყნების ბაზრებზე. მეტალურგიული საწარმოები ყოველწლიურად ერთობლივად გადაამუშავებენ 100-150 ათას. ტონა შავი ლითონის ჯართს. იმის გამო, რომ არ არსებობს ნარჩენების მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვება და ნარჩენების წყაროებზე დაკვირვება, ვერ ხერხდება რეციკლირებულ ლითონის ჯართში მყარი მუნიციპალური ნარჩენის თუ სხვა წყაროს კერძოდ, სამშენებლო ან სამრეწველო ნარჩენის წილის განსაზღვრა.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით შავი ლითონის ჯართის გადამუშავების შავების სტრუქტურა ასეთია:

შავი ლითონის ჯართის გადამუშავების სტრუქტურა ათასი ტონა/წელიწადში

ექსპორტირებული	146	50,5%
რეციკლირებული (გადამუშავებული)	120	41,5%
გატანილი ნაგავსაყრელზე	23	8%
გადამუშავებული სულ	289	100%

(ინფორმაციის წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; გამა, სამეცნიერო-კვლევითი ფირმა, ქ. თბილისის მყარი

საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროცესი, თბილისი 2010 წ, რეციკლირების საწარმოთა კვლევა).

სულ გადამუშავებულ შავი ლითონის ჯართში, რეციკლირების წილი არის 41,5 %, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და უახლოვდება რეციკლირების საშუალო ევროპულ მაჩვენებელს. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაგავსაყრელზე ხვდება ლითონის ნარჩენის საკმაო რაოდენობა, მთლიანი ნარჩენის 8%, რაც მიუთითებს ნარჩენის შეგროვების არსებული პრაქტიკის დაბალ ეფექტურობაზე. სეპარაციის (დასარისხება) სისტემის დანერგვა მნიშვნელოვნად შეამცირებს შავი ლითონის ნარჩენის ნაგავსაყრელზე მოხვედრას. ლითონის ნარჩენის გადამუშავების ამგვარი სტრუქტურა გამოწვეულია ქვეყანაში მსხვილი მეტალურგიული წარმოების ტრადიციის არსებობით. ასევე, ლითონის ნარჩენისადმი საზოგადოების შეცვლილი დამკიდებულებით. კერძოდ, უკვე მყარად არის დამკვიდრებული აზრი, რომ ლითონის ნარჩენი არის მეორადი რესურსი, რომელსაც აქვს რეალური საბაზრო ღირებულება და არა ნაგავი, რომელიც ნებისმიერი ხერხით უნდა მოვიშოროთ.

ადგილობრივი შავი ლითონის ნარჩენების ბაზარს, აქვს შესაძლებლობა სრულად დააკმაყოფილოს რეციკლირების საწარმოების ნედლეულზე მოთხოვნის 200-250 % ზრდის შემთხვევაშიც.

შავი ლითონის რეციკლირების საწარმოები მუშაობენ თავისი შესაძლებლობის 20-30%-ის ფარგლებში, რის მთავარ მიზეზადაც ასახელებენ საბაზო კრედიტების მაღალ საპროცენტო განაკვეთს და ლითონის დამუშავების მოძველებულ ტექნოლოგიებს. საწარმოები, თანამედროვე ტექნო-

ლოგიების დანერგვის შემთხვევაში, ვარუბობენ რეციკლირების მოცულობის ზრდას 300- 400 %-ით, ხოლო წარმოების ეფექტურობის ზრდას (საწარმოო დანახარჯები ერთეულ პროდუქტზე) 20%-ით.

შავი ლითონის ნარჩენების რეციკლირებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ასევე გარემოსდაცვისა და დასაქმების სფეროში, თუმცა ის ჯერ კიდევ შორს არის „სიმწვანესთან“. რეციკლირების საწარმოები წარმოადგენ საშუალო ზომის მეტალურგიულ ქარხნებს, რომლებიც საწარმოო პროცესების მართვაში ნაკლებად ითვალისწინებენ გარემოსდაცვით სტანდარტებს და რეგულაციებს და ღირსეული შრომის პრინციპებებს დაფუძნებულ დასაქმებას.

საჭირო ცვლილებები შავი ლითონის რეციკლირების სექტორის „გასამწვანებლად“

შავი ლითონის ნარჩენების ბაზარი და რეციკლირება კარგად არის განვითარებული, ნარჩენების რეციკლირების (გადამუშავების) სხვა სექტორებთან შედარებით, თუმცა ეს სექტორი საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს მის გასაძლიერებლად და „გასამწვანებალად“.

1) შავი ლითონის ნარჩენების აღრიცხვის სისტემის დანერგვა:

ნარჩენების წყაროების და განთავსების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა შეუძლებელს ხდის ნარჩენების მართვის სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებას. რეგულირების ინსტრუმენტების დანერგვას, კვლევებისა და მონიტორინგის განხორციელებას. ასევე, შეზღუდულია რეციკლირების ბიზნესის დაგეგმვა და ახალი ბაზრებისა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა.

2) შავი ლითონის ნარჩენების კლასიფიკაცია და სტანდარტიზაცია:

ნარჩენების კლასიფიკაცია საშუალებას მისცემს შავი ლითონის ნარჩენების ბაზარს გაამრავალფეროვნოს გამოტანილი პროდუქტი და გააჩინოს ახალი შესაძლებლობები რეციკლირების პროდუქციის წარმოებისათვის. ასევე, შესაძლებელი გახადოს მეორადი ნედლეულის ხარისხის სტანდარტის რეგულირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეციკლი-

- რების სექტორის პროდუქციის კონკუ-
რენტუნარიანობას ადგილობრივ თუ სა-
ერთაშორისო ბაზარზე.
- 3) მუნიციპალური შავი ლითონის ნარჩენის სეპარაციის ფორმალიზებული და სტრუ-
ქტურირებული სისტემის ჩამოყალიბება;
სეპარაციის სისტემის ჩამოყალიბება
ხელს შეუწყობს, შავი ლითონის მუნიცი-
პალურო ნარჩენის სეგრეგაციას და შე-
ამცირებს მათ ნაგავსაყრელებზე მოხვე-
დრას. სეპარაცია ხელშესახებად გაზრ-
დის ნარჩენების ბაზრის მოცულობას და
ხელს შეუწყობს მის ფორმალიზებას.
სეპარაციის სისტემის ფორმალიზიება
და სტრუქტურირება შესაძლებელს გახ-
დის ამ სფეროში დასაქმებულთა თუ
თვითდასაქმებულთაფის ღირსეული
შრომის პირობებისა თუ შრომითი უფ-
ლებების უზრუნველყოფას. ასევე, მათი
კვალიფიკაციის ამაღლებას, სწავლებას
თუ ტრენინგს.
- 4) მუნიციპალური შავი ლითონის ნარჩენების სეგრეგაციის ადგილების მოწყობა,
გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და სტანდარტების შესტამისად:
შავი ლითონის ნარჩენების მოუწყობელი
სეგრეგაციის ადგილები, წარმოადგენს
დაბინძურების კერებს. ისინი, როგორც
წესი განთავსებულია დასახლებულ ად-
გილებთან ახლოს, რაც ზრდის გარემოს
დაბინძურების რისკს და საფრთხე შეუ-
ქმნას ადამიანის ჯანმრთელობას.
- 5) შავი ლითონების ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება;
შავი ლითონების ნარჩენების ბაზრის
ფორმალიზება და სტრუქტურირება
ხელს შეუწყობს ნარჩენებით თავისუფალ
ვაჭრობას და კონკურენციის ზრდას,
ვაჭრობის ლეგალიზაციას. ნარჩენების
ბაზრის გაფართოებას და გამრავალ-
ფეროვნებას, ჩართვას შავი ლითონების
ნარჩენებით ვაჭრობის გლობალურ ქსელ-
ში, რაც თავის მხრივ გაზრდის ნარჩენე-
ბის ფასს და გააჩენს მოთხოვნას ახალ
საბაზრო პროდუქტებზე. მრავალფერო-
ვანი და სტანდარტიზირებული ბაზარი
გააჩენს ახალ შესაძლებლობებს რე-
ციკლირების ბიზნესისათვის.
- 6) შავი ლითონის ნარჩენის რეციკლირების საწარმოებში, გარემოსდაცვითი რეგუ-
ლაციების და სტანდარტების დანერგვა;
გარემოსდაცვითი რეგულაციების (მაგა-
ლითად გარემოზე ზემოქმედების პრო-
- ცედურის ჩატარება, გარემოსდაცვითი
აუდიტის ჩატარება) და სტანდატების
დანერგვა, საწარმოებს გახდის უფრო
მდგრადს და მიმზიდველს ინვესტიციე-
ბის მოსაზიდად.
- 7) შავი ლითონის ნარჩენის რეციკლირების (გადამუშავება) საწარმოების, ფინანსუ-
რი და ტექნიკური მხარდაჭერა ახალი
ტექნოლოგიების და ინოვაციების დასა-
ნერგვად.
საწარმოები საჭიროებენ ტექნოლოგიურ
განახლებას, რათა აწარმოონ კონკურენ-
ტული და მაღალი ხარისხის პრუდუქ-
ცია. რაც ასევე, გაზრდის მათ მიერ
რეციკლირებული (შეგროვებული) ნარჩე-
ნის მოცულობას.

ფარადი ლითონის რეციკლირება (გადამუშავება)

ფერადი ლითონების ნარჩენების ბაზა-
რი საკმაოდ მოცულობითი და დინამიურად
მზარდია. მოქმედებს ფერადი ლითონების
მუნიციპალური ნარჩენების შემგროვებელ-
თა ფართო ქსელი. ინფორმაცია ფერადი
ლითონების ნარჩენების რეციკლირების შე-
სახებ შეზღუდულია. ფერადი ლითონის
ნარჩენების რეციკლირების სექტორი და-
კავებულია მხოლოდ მეორადი ნედლეუ-
ლის წარმოებით. შეგროვებული ფერადი
ლითონის ნარჩენი გადაუმუშავებლად ან
მეორადი ნედლეულის სახით, მთლიანად
გადის ექსპორტზე, რომელიც წელიწადში
შეადგენს 7430 ტონას.

იმის გამო, რომ არ არსებობს ნარჩენე-
ბის მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვა
და ნარჩენების წყაროებზე დაკვირვება,
ვერ ხერხდება ფერადი ლითონის ნარჩენში
მყარი მუნიციპალური ნარჩენის წილის
განსაზღვრა. შესაბამისად არ არსებობს
ინფორმაცია ნაგავსაყრელებზე გატანილი
ფერადი ლითონის ნარჩენის შესახებ.

ფერადი ლითონების ნარჩენების რე-
ციკლირება (გადამუშავება) საქართველოში
ფაქტურად არ მიმდინარეობს, თუმცა ფე-
რადი ლითონის მეორადი ნედლეულისა და
ჯართის ექსპორტის მოცულობა გვაფიქრე-
ბინებს, რომ მისი შეგროვებისა და სეპა-
რაციის სისტემის გამართული ფუნქციო-
ნირების შემთხვევაში, წარმოქმნილი და
შეგროვებული ფერადი ლითონის ნარჩენის

მოცულობა შესაძლებლობას იძლევა რესურსის რეციკლირებისა და სფეროს განვითარების.

**საჯირო ცვლილებები ფინანსი
ლითონის რეციკლირების
(გადამუშავება) საქტორის
გასამწვანეობლად**

ფერადი ლითონის ნარჩენების შეგროვების სისტემა და ბაზარი საკმაოდ განვითარებულია, რასაც ვერ ვიტყვით რეციკლირებაზე (გადამუშავება). სექტორი საჭიროებს მნიშვნელოვანი ქმედებების გატარებას და „გამწვანებას“.

1) ფერადი ლითონის ნარჩენების აღრიცხვის სისტემის დანერგვა:

ნარჩენების წყაროების და მოძრაობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა შეუძლებელს ხდის ნარჩენების მართვის სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებას. რეგულირების ინსტრუმენტების დანერგავას, კვლევებისა და მონიტორინგის განხორციელებას. ასევე, რეციკლირების ბიზნესის განვითარებას, ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების გამოვლენას.

2) ფერადი ლითონის ნარჩენების კლასიფიკაცია და სტანდარტიზაცია:

ნარჩენების კლასიფიკაცია საშუალებას მისცემს ფერადი ლითონის ნარჩენების ბაზარს, გაამრავალფეროვნოს გამოტანილი მეორადი პროდუქტი და გააჩინოს ახალი შესაძლებლობები რეციკლირების (გადამუშავებული) პროდუქციის წარმოებისათვის. ასევე, შესაძლებელი გახადოს მეორადი ნედლეულის ხარისხის სტანდარტის რეგულირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეციკლირებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე.

3) მუნიციპალური ფერადი ლითონის სეპარაციის ფორმალიზებული და სტრუქტურირებული სისტემის ჩამოყალიბება: სეპარაციის სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეწყობს, ფერადი ლითონის მუნიციპალურო ნარჩენების სეგრეგაციას და შეამცირებს მათ ნაგავსაყრელებზე მოხვედრას. სეპარაცია ხელშესახებად გაზრდის ნარჩენების ბაზრის მოცულობას და ხელს შეუწყობს მის ფორმალიზებას. სეპარაციის სისტემის ფორმალიზიება და სტრუქტურირება შესაძლებელს გახდის ამ სფეროში დასაქმებულთა თუ თვითდასაქმებულთათვის ღირსეული შრომის პირობებისა თუ შრომითი უფლებების უზრუნველყოფას. ასევე, მათი კვალიფიკირების ამაღლებას, სწავლებასა თუ ტრენინგს.

4) ფერადი ლითონების ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება:

ფერადი ლითონების ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება ხელს შეუწყობს ნარჩენებით თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციის ზრდას, ვაჭრობის ლეგალიზაციას. ნარჩენების ბაზრის გაფართოებას და გამრავალფეროვნებას, ჩართვას ფერადი ლითონების ნარჩენებით ვაჭრობის გლობალურ ქსელში, რაც თავის მხრივ გაზრდის ნარჩენების ფასს და გააჩინს მოთხოვნას ახალ საბაზრო პროდუქტებზე. მრავალფეროვანი და სტანდარტიზირებული ბაზარი გააჩინს ახალ შესაძლებლობებს რეციკლირების ბიზნესისთვის.

5) ფერადი ლითონების რეციკლირების (გადამუშავების) საწარმოების განვითარების ხელშეწყობა:

საქართველოში წარმოებული ფერადი ლითონის მეორადი ნედლეული სრულად გადის ექსპორტზე. ამიტომ, მნიშვნელოვანია საწარმოო სიმძლავრეების განვითარება ფერადი ლითონის პირველადი პროდუქციის წარმოებისათვის.

მინის რეციკლირება

საქართველოში დღეისათვის, მინის რეციკლირებით დაკავებულია ერთი საწარმო, ს.ს. „მინა“, რომელიც ფუნქციონირებს ყოფილი ქსნის მინის ტარის ქარხნის ბაზაზე.

საწარმო ყოველწლიურად ამუშავებს საშუალოდ 5 000 ტონა მინის ლეჭს. რომელსაც იბარებს მინის შემგროვებელი

იმის გამო, რომ არ არსებობს ნარჩენების მოძრაობის სტატისტიკური აღრიცხვა და ნარჩენების წყაროებზე დაკვირვება, ვერ ხერხდება რეციკლირებულ მინის ლეჭში მყარი მუნიციპალური ნარჩენის თუ სხვა წყაროს კერძოდ, სამშენებლო ან სამრეწველო ნარჩენის წილის განსაზღვრა.

კერძო პირებისაგან. საწარმო მინის მეორადი ნედლეულისგან ამზადებს სხვადასხვა ასორტიმენტის მინის ბოთლებს. პროდუქცია გადის როგორც ადგილობრივ, ისე მეზობელი ქვეყნების ბაზარზე. საწარმო აკმაყოფილებს მინის ბოთლზე ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის 40%, მაღალრენტაბელურია და მისი რენტაბელობა აღემატება 18%. საწარმოში დასაქმებულია 100-ზე მეტი ადამიანი.

მინის ნარჩენის გადამუშავების სტრუქტურა

(ხუთი წლის საშუალო

მაჩვენებელი)

ექსპორტირებული	549	10%
რეციკლირებული	4994	90%
გატანილი ნაგავსაყრელზე	0	0%
სულ გადამუშავებული	5543	100%

(ინფორმაციის წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; გამა, სამეცნიერო-კვლევითი ფირმა, ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი, თბილისი 2010წ, რეციკლირების საწარმოთა კვლევა)

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ფიქსირდება მინის რეციკლირების მაღალი პროცენტი (90%), მინის ნარჩენის გადამუშავების მთლიან რაოდენობასთან. რეციკლირების მაღალი პროცენტი გამოწვეულია ნაგავსაყრელზე განთავსებულ ნარჩენში მინის შემადგენლობის არქონით. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეს მაჩვენებელი არ იძლევა ერთგვაროვანი შეფასების საშუალებას. ძნელად დასაჯერებელია, რომ ნაგავსაყრელებზე მინის ნარჩენი არ ხვდებოდეს. არ გვაქვს ინფორმაცია მინის ტარის მეორადი გამოყენების ბაზრის მოცულობის შესახებ, თუმცა ეს ბაზარიც მნიშვნელოვანია და საჭიროებს დამატებით კვლევებს.

ადგილობრივი მინის ნარჩენების ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია, გაუმართავია შემგროვებელთა ქსელი, არ ხდება მუნიციპალური მინის ნარჩენის სეპარაცია. შესაბამისად, მინის ნარჩენების ბაზარი დეფიციტურია და ვერ აკმაყოფილებს რეციკლირების საწარმოს მოთხოვნებს მეორად ნედლეულზე. დეფიციტის შესავსებად საწარმო იძულებულია გამოიყენოს პირველადი ნედლეული, რომელსაც იღებს საჩერის ქვიშის კარიერებიდან.

პირველადი ნედლეულის გამოყენება ზრდის პროდუქციის თვითონირებულებას 40-50%, ასევე საწარმოო ციკლს და ენერგომოხმარებას. ინფორმაციის სიმწირის გამო ვერ ხერხდება შეფასება არამწვანე ეკონომიკური საქმიანობით გამოწვეული ზარალის რომელსაც იღებს საწარმო, ბუნებრივი და სოციალური გარემო.

საწარმო მუშაობს თავისი შესაძლებლობის 80% ფარგლებში, თუმცა მინის ნარჩენების ბაზრის განვითარების შემთხვევაში შეუძლია გააორმაგოს წარმოების მოცულობა.

საწარმო, რეციკლირების განვითარების მთავარ

წინაღობებად მიიჩნევს:

- ა) არასრულყოფილ საკანონმდებლო რეგულირებას;
- ბ) მინის ნარჩენების სეპარაციის სისტემის არარსებობას;

როგორც ავღნიშნეთ, მინის რეციკლირების სექტორი ჯერ კიდევ ფორმირების სტადიაშია და საჭიროებს ცვლილების გატარებას მისი გამწვანებისათვის. კერძოდ:

- ა) მინის ნარჩენების ბაზრის და ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება;
- ბ) საწარმოო პროცესში გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და რეგულაციების დანერგვა;
- გ) ღირსეული შრომის პრინციპების დაფუძნებული დასაქმება;

საჭირო ცვლილებები მინის რეციკლირების სექტორის გასამწვანებლად

- 1) მუნიციპალური მინის ნარჩენების სეპარაციის ფორმალიზებული და სტრუქტურირებული სისტემის ჩამოყალიბება; სეპარაციის სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეწყობს, მინის მუნიციპალური ნარჩენების სეგრეგაციას და შეამცირებს მათ ნაგავსაყრელებზე მოხვედრას. სეპარაცია ხელშესახებად გაზრდის ნარჩენების ბაზრის მოცულობას და ხელს შეწყობს მის ფორმალიზებას. სეპარაციის სისტემის ფორმალიზება და სტრუქტურირება შესაძლებელს გახდის ამ სფეროში დასაქმებულთა თუ თვითდასაქმე-

- ბულთათვის ღირსეული შრომის პირობებისა თუ შრომითი უფლებების უზრუნველყოფას. ასევე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.
- 2) მინის ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება.
- მინის ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება ხელს შეუწყობს ნარჩენებით თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციის ზრდას, ვაჭრობის ლეგალიზაციას და ღიაობას. ნარჩენების ბაზრის გაფართოებას და გამრავალფეროვნებას. მრავალფეროვანი და სტანდარტიზირებული ბაზარი გააჩენს ახალ შესაძლებლობებს რეციკლირების ბიზნესისათვის.
- 3) მინის ნარჩენის რეციკლირების საწარმოებში, გარემოსდაცვითი რეცულაციების და სტანდარტული სამუშავებების მიზანით გამოიყენოთ მდგრად და მიმზიდველს ინვესტიციების მოსაზიდად. უზრუნველყოფს დასაქმებულთა ღირსეული შრომის სტანდარტების დამკვიდრებას.
- 4) მინის ნარჩენის რეციკლირების საწარმოების, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების დასანერგად.

საწარმოები საჭიროებენ ტექნოლოგიურ განახლებას, რათა აწარმოონ კონკურენტული და მაღალი ხარისხის პრუდუქსია. რაც ასევე, გაზრდის მათ მიერ რეციკლირებული ნარჩენის მოცულობას.

მუკამის ნარჩენის რეციკლირების საქმი

საქართველოში მუკამის რეციკლირებით დაკავებულია ერთი საწარმო. შ.პ.ს. „ნეოპრინტი“, რომელიც მდებარეობს წეროვანის დასახლებაში.

საწარმო წლიურად ამუშავებს 200 ტონა მუკამის ნარჩენს, ამზადებს მეორად ქაღალდს, რომელიც გამოიყენება გოფრირებული შესაფუთი ყუთების დასამზადებლად. საწარმოს პროდუქცია გააქვს, როგორც ადგილობრივ ასევე მეზობელი ქვეყნების ბაზარზე. საწარმოში დასაქმებულია 70 ადამიანი.

საწარმო მუკამის ნარჩენით მომარაგება ხდება სხვადასხვა წყაროებიდან: მოკრება მოსახლეობიდან, შესყიდვა შემგროვებელი კომპანიებისგან, მოკრება მუნიციპალური ნაგავსაყრელებიდან.

მუკამის ბაზარი სრულად აკმაყოფილებს რეციკლირების საწარმოს მოთხოვნას მეო-

რად ნედლეულზე. საწარმო მუშაობს თავისი შესაძლებლობის 50%-80% ფარგლებში. საწარმოში მოქმედი ტექნიკური აღჭურვილობა მოძველებულია. საწარმოს წარმომადგენლების აზრით, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის შემთხვევაში შესაძლებელია საწარმოს წარმადობის გაზრდა 1000 ტონამდე წელიწადში და ერთეულ პროდუქტზე საწარმოო დანახარჯების შემცირება 15% - 20%-ით.

საწარმო, მუკამის ნარჩენის რეციკლირების განვითარების მიმართულებით მთავარ წინაღობებად მიიჩნევს:

- საბანკო კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთს;
- არასრულყოფილ საკანონმდებლო რეგულირებას,

მუკამის ნარჩენის გადამუშავების სტრუქტურა

ტონა/წელიწადი

(სამი წლის საშუალო მაჩვენებელი)

ექსპორტირებული	4920	9,5 %
რეციკლირებული	200	0,4 %
გატანილი ნაგავსაყრელზე	46 680	90,1 %
გადამუშავებული სულ	51800	100 %

(ინფორმაციის წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; გამა, სამეცნიერო-კვლევითი ფირმა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი, თბილისი 2010წ, რეციკლირების საწარმოთა კვლევა)

- გ) ნარჩენების სეპარაციის სისტემის არარსებობას;
- (დ) მუყაოს ნარჩენების ბაზარზე დაბალი ხარისხის (დაბინძურებული) ნარჩენის მოწოდებას.

მუყაოს ნარჩენის ძირითადი წარმოქმედია მუყაოს შეფუთვის ნარჩენი, რომლის წარმოქმნის წყაროა სავაჭრო დაწესებულებები, ოფისები, საამშენებლო და საყოფაცხოვრებო საწარმოებების საქმიანობა. შესაბამისი აღრიცხვის არარსებობის გამო, ვერ ხერხდება მუყაოს ნარჩენის მოცულობის შეფასება და კატეგორიზაცია წარმოშობის წყაროების მიხედვით.

მუყაოს ნარჩენის გადამუშავების სტრუქტურა გვიჩვენებს რომ რეციკლირების წილი მუყაოს მთლიან გადამუშავებაში უმნიშვნელოა (0,4 %). თუმცა, ექსპორტის მოცულობის სწრაფი ზრდა ადასტურებს რომ მუყაოს ნარჩენის ბაზარი ფორმირდება და დინამიურად იზრდება. მაღალია ნაგავსაყრელზე გატანილი მუყაოს ნარჩენის წილი, რაც მიგვითოთებს მუყაოს ნარჩენების მართვის სისიტემაში მწვანე ცვლილებების გატარების აუცილებლობაზე.

მუყაოს რეციკლირების სექტორი სუსტად არის განვითარებული, თუმცა წარმოქმნილი მუყაოს შესაფუთი ნარჩენის ზრდა და ნარჩენების ბაზრის განვითარება აჩენს შესაძლებლობას რეციკლირების მოცულობის გაზრდისა და ახალი პროდუქტების წარმოებისათვის.

საჯირო ცვლილებები მუყაოს რაციონალური საქტორის გასამრვენაბლად

მუყაოს ნარჩენების შეგროვება და ბაზარი კარგად არის განვითარებული, თუმცა სექტორი საჭიროებს მნიშვნელოვანი ცვლილებების გატარებას, და ინვესტირებას მის გასაძლიერებლად და გამწვანებალად.

- 1) **შესაფუთი მასალების ნარჩენების აღრიცხვის სისტემის დანერგვა:**

ნარჩენების წყაროების და მოძრაობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არ არსებობა შეუძლებელს ხდის ნარჩენების მართვის სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებას. რეგულირების

ინსტრუმენტების დანერგვას, კვლევებისა და მონიტორინგის განხორციელებას. ასევე, შეზღუდულია რეციკლირების ბიზნესის დაგეგმვა და ახალი ბაზრებისა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა.

- 2) **მუყაოს ნარჩენების კლასიფიკაცია და სტანდარტიზაცია:**

ნარჩენების კლასიფიკაცია საშუალებას მისცემს მუყაოს ნარჩენების ბაზარს გაამრავალფეროვნოს გამოტანილი პროდუქტი და გააჩინოს ახალი შესაძლებლობები რეციკლირების პროდუქციის წარმოებისათვის. ასევე, შესაძლებელი გახადოს მეორადი ნედლეულის ხარისხის სტანდარტის რეგულირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეციკლირების სექტორის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე.

- 3) **შესაფუთი მასალების სეპარაციისა და შეგროვების ფორმალიზებული და სტრუქტურირებული სისტემის ჩამოყალიბება:**

სეპარაციისა და შეგროვების სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეწყობს, შესაფუთი მასალების ნარჩენების სეგრეგაციას. შეამცირებს მათ ნაგავსაყრელებზე მოხვედრას. სეპარაცია ხელშესახებად გაზრდის ნარჩენების ბაზრის მოცულობას.

- 4) **შესაფუთი მასალების ნარჩენების სეგრეგაციის ადგილების მოწყობა, გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და სტანდარტების შესბამისად:**

შესაფუთი მასალების ნარჩენების მოუწყობელი სეგრეგაციის ადგილები, წარმოადგენს დაბინძურების კერებს. ისინი, როგორც წესი განთავსებულია დასახლებულ ადგილებთან ახლოს, რაც ქმნის მაღალ რისკს გარემოს დაბინძურებისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

- 5) **შესაფუთი მასალების ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება:**

შესაფუთი მასალების ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება ხელს შეუწყობს ნარჩენებით თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციის ზრდას, ვაჭრობის ლეგალიზაციას და ღიაობას. ნარჩენების ბაზრის გაფართოებას და გამრავალფეროვნებას, ჩართვას მუყაოს ნარჩენებით ვაჭრობის გლობალურ ქსელში, რაც თავის მხრივ გაზრდის ნარჩენების ფასს და გააჩენს მოთხოვნას ახალ

საბაზრო პროდუქტებზე. მრავალფეროვანი და სტანდარტიზირებული ბაზარი გააჩენს ახალ შესაძლებლობებს რეცილირების ბიზნესისათვის.

6) **მუკაოს ნარჩენის რეცილირების საწარმოებში, გარემოსდაცვითი რეგულაციების და სტანდარტების დანერგვა:** გარემოსდაცვითი რეგულაცების და სტანდატების დანერგვა, საწარმოებს გახდის უფრო მდგრადს და მიმზიდველს ინვესტიციების მოსაზიდად. უზრუნ-

ველყოფს დასაქმებულთა ღირსეული შრომის სტანდარტების დამკვიდრებას.

7) **მუკაოს ნარჩენის რეცილირების საწარმოების, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერაა ხალი ტექნოლოგიების და ინოვაციების დასაწერებად.**

საწარმოები საჭიროებენ ტექნოლოგიურ განახლებას, რათა აწარმოონ კონკურენტული და მაღალი ხარისხის პრუდუქსიას. რაც ასევე, გაზრდის მათ მიერ რეცილირებული ნარჩენის მოცულობას.

პლასტმასის ნარჩენის რეცილირების საქმორი

საქართველოში პლასტმასის რეცილირებით დაკავებული საწარმოების შესახებ ინფორმაცია ძალზედ მწირია. ეს არის ძირითადად, მცირე ნახევრად კუსტარული საწარმოები, რომლებიც პლასტმასის ნარჩენებისგან ამზადებენ მეორად ნედლელს და გააქვთ ბაზარზე ან თავადვე აწარმოებენ პროდუქციას. მეორადი ნედლეულის ბაზრის დიდი ნაწილი არალეგალურია, რადგან მეწარმეები დაიდილობენ არ გაამჟღვნონ, რომ პროდუქციის წარმოებისას იყენებენ მეორად ნედლეულს. მეწარმეთა ასეთი სიფრთხილე გამოწვეულია:

- ა) მომხმარებელთა დაბალი გარემოსდაცვითი ცნობების მიზანი მეორადი პალასტმასისა და პეტის ხარისხსა და ჯანმდთელობისათვის უსაფრთხოებას)
- ბ) მეორადი პალასტმასით და პეტით წარმოებული პროდუქციის თვითონირებულე-

მინის ნარჩენის გადამუშავების სტრუქტურა

(ზუთი წლის საშუალო

ტონა/წელიწადი	მაჩვენებელი
უსპორტირებული	549
რეცილირებული	4994
გატანილი ნაგავსაყრელზე	0
სულ გადამუშავებული	5543

სექტორის უფრო დეტალურმა შესწავლამ შესაძლებელია გამოავლინოს დამატებით რეცილირებული ნარჩენის გარკვეული რაოდენობა, მაგრამ ეს არ იქნება მეტი 1% -ზე. იმ მწირი ინფორმაციის პირობებში, რომელიც გაგვაჩნია, შეიძლება ვთქვათ, რომ რეცილირების წილი მთლიან გადამუშავებაში მერყეობს 1% ფარგლებში, რაც მთლიანობაში არ ცვლის პლასტმასის

ბა მნიშვნელოვნად დაბალია. მეწარმეებს სურთ წარმოებული პროდუქტი გაყიდონ პირველადი ნედლეულით წარმოებული პროდუქტის ფასად.

რეცილირების საწარმოთა უმრავლესობა არის მცირე, ნახევრად კუსტარული საწარმოები, სადაც არ არის დაცული გარემოსდაცვითი სტანდარტები და ღირსეული შრომის პირობები. იწარმოება დაბალი ხარისხის პლასტმასის ნაკეთობები. საწარმოები, რომელთაც აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და შესაძლებლობა გააფართოონ წარმოება და ბაზარზე გამოიტანონ მეორადი ნედლეულისგან დამზადებული მაღალტექნიკოლოგიური პროდუქცია, ნარჩენების ბაზარი ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი ხარისხის და რაოდენობის ნარჩენის სტაბილურ მიწოდებას.

პლასტმასისა ნარჩენების გადამუშავებაში, რეცილირების წილი უმნიშვნელოა.

(ინფორმაციის წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; გამა, სამეცნიერო-კვლევითი ფირმა, ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მშენებლობის და ექსპლუატაციის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტი, თბილისი 2010წ, რეცილირების საწარმოთა კვლევა)

რეცილირების სექტორში არსებული მდგომარეობის სურათს. როგორც ცხრილიდან ჩანს, პლასტმასის ნარჩენის ძირითადი წილი (98%) განთავსდება ნაგავსაყრელებზე. ამ სფეროშიც, ნარჩენების მართვის სისიტემა და მიდგომები მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს გამწვანების მიმართულებით.

პლასტიკის ნარჩენების შაზარი ჩამოყალიბების პროცესშია, თუმცა აკმაყოფილებს რეციკლირების საწარმოების მოთხოვნას ნედლეულზე.

საწარმოები, პლასტიკის რეციკლირების განვითრების მთავარ ხელშემშეღელ ფაქტორად ასახელებენ:

- სეპარაციის სისტემის არარსებობას,
- ნარჩენების მოძრაობის შესახებ სტატიისტიკური ინფორმაციის არარსებობას,
- მოუწესრიგებელ ნარჩენების ბაზარს;

სექტორში წარმოებული პროდუქცია გადის მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს წარმოების გაფართოებას.

საჭირო ცვლილებები პლასტმასის რეციკლირების სექტორის გასამწვანებლად

პლასტმასის ნარჩენების შეგროვება და ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ამიტომ საჭიროებს მნიშვნელოვნა ცვლილებებს და ინვესტიციებს მის გასაძლიერებლად და გასამწვანებალად.

1) პლასტმასის ნარჩენების აღრიცხვის სისტემის დანერგვა:

ნარჩენების წყაროების და მოძრაობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არ არსებობა შეუძლებელს ხდის ნარჩენების მართვის სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებას. რეგულირების ინსტრუმენტების დანერგავას, კვლევებისა და მონიტორინგის განხორციელებას. ასევე, შეზღუდულია რეციკლირების ბიზნესის დაგეგმვა და ახალი ბაზრებისა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა.

2) პლასტმასის ნარჩენების კლასიფიკაცია და სტანდარტიზაცია:

ნარჩენების კლასიფიკაცია სტანდარტიზაცია საშუალებას მისცემს პლასტმასის ნარჩენების ბაზარს გაამრავალფეროვნოს გამოტანილი პროდუქტი და გააჩინოს ახალი შესაძლებლობები რეციკლირების პროდუქციის წარმოებისათვის. ასევე, შესაძლებელი გახადოს მეორადი ნედლეულის ხარისხის სტანდარტის რეგულირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეციკლირების სფეროს სექტორის პროდუქციის კონკურენტუნა-

რიანობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე.

3) პლასტმასის შეგროვების ფორმალიზებული და სტრუქტურირებული სისტემის ჩამოყალიბება:

სეპარაციისა სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეწყობს, პლასტმასის ნარჩენების სეგრეგაციას. შეამცირებს მათ ნაგავსაყრელებზე მოხვედრას და გარემოში დიფუზიას. სეპარაცია ხელშესახებად გაზრდის ნარჩენების ბაზრის მოცულობას და ხელს შეუწყობს მის ფორმალიზებას.

4) პლასტმასის ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება:

პლასტმასის ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება ხელს შეუწყობს ნარჩენებით თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციის ზრდას, ვაჭრობის ლეგალიზაციას და ღიაობას. ნარჩენების ბაზრის გაფართოებას და გამრავალფეროვნებას, პლასტმასის ნარჩენებით ვაჭრობის გლობალურ ქსელში, რაც თავის მხრივ გაზრდის ნარჩენების ფასს და გააჩენს მოთხოვნას ახალ საბაზრო პროდუქტებზე. მრავალფეროვანი და სტანდარტიზირებული ბაზარი გააჩენს ახალ შესაძლებლობებს რეციკლირების ბიზნესისათვის.

4) პლასტმასის რეციკლირების საწარმოებში, გარემოსდაცვითი რეგულაციების და სტანდარტების დანერგვა:

გარემოსდაცვითი რეგულაცების და სტანდარტების დანერგვა, საწარმოებს გახდის უფრო მდგრადს და მიმზიდველს ინვესტიციების მოსაზიდად. უზრუნველყოფს დასაქმებულთა ღირსეული შრომის სტანდარტების დამკვიდრებას.

5) პლასტმასის ნარჩენის რეციკლირების საწარმოების, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების დასაწერებად:

საწარმოები საჭიროებენ ტექნოლოგიურ განახლებას, რათა აწარმოონ კონკურენტული და მაღალი ხარისხის პროდუქცია. რაც ასევე, გაზრდის მათ მიერ რეციკლირებული ნარჩენის მოცულობას.


ქალაქის ნარჩენის რეციკლიზაციის საქმი

საქართველოში ქაღალდის რეციკლირებას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. პირველი კუსტარული საწარმოები ამოქმედდნენ 2000 წლიდან, რომელიც დაკავებული იყვნენ სტამბებიდან, ოფისებიდან და მოსახლეობიდან ქაღალდის ნარჩენების მოკრებით და რეციკლირებით. ქაღალდის მეორადი ნედლეულისგან ძირითადად აწარმოებდნენ დაბალი ხარისხის ტუალიტის ქაღალდს. 2004-2005 წლიდან იწყება ქაღალდის ნარჩენების ბაზრის ფორმირება. ბიზნეს სტრუქტურები, რომელთა საწარმოო პროცესი წარმოქმნიდა ქაღალდის ნარჩენს (სტამბები, გამომცემლობები, ოფისები), განიხილავდნენ მას, როგორც ნაგავს, რომელიც უნდა მოიშორონ და წევდნენ ხარჯებს მის ნაგავსაყრელზე განსათავსებლად ან წვავდნენ თუ სახელმწიფო გარემოსდაცვითი რეგულაციები არ შეუქმნიდა წინააღმდეგობას. ქაღალდის ნარჩენების ბაზრის ჩამოყალიბებამ და მასზე საბაზრო მოთხოვნის გაჩენამ, შეცვალა დამოკიდებულება ქაღალდის ნარჩენის მიმართ. დღეს-დღეობით ბიზნესი, წარმოქმნილ ქაღალდის ნარჩენს განიხილავს, როგორც მეორად ნედლეულს და ცდილობს რაც შეიძლება სართიანად გაყიდოს ბაზარზე. ბაზრის ზრდისა და ფორმირების პარალელურად გაიზარდა ქაღალდის ნარჩენის ფასიც, რომელმაც უკვე გადააბიჯა 250 ლარი/ტონა ნიშნულს. ქაღალდის ნარჩენების ბაზრის ჩამოყალიბება და ნაჩენების საერთაშორისო ბაზრებანთ ინტეგრირება, ხელს შეუწყობს რეციკლირების სფეროს შემდგომ გაფართოებას და მეორად რესურსზე ფასის ზრდას. ამდენად, ქაღალდის ნარჩენის, როგორც მეორადი ნედლეულის ჩართვამ ეკონომიკურ ციკლში, გამოიწვია მისი ტრანსფორმირება, ეკონომიკური საქმიანობის ტვირთიდან დამატებითი შემოსავლის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების, დასაქმების და კეთილდღეობის წყაროდ.


ქაღალდის ნარჩენების (მაკულურულატურის) ბაზარი დეფიციტურია. ბაზარი ნაწილობრივ უზრუნველყოფს რეციკლირების საწარმოების მოთხოვნას მეორად ნედლეულზე. დეფიციტის შესება ხდება ქაღალ-

დის ნარჩენის იმპორტის ხარჯზე. ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე, მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ქაღალდის რეციკლირებით წარმოებულ პროდუქციაზე, რაც შესაბამისად აისახა ნარჩენის იმპორტის ზრდაზე.

ქაღალდის ნარჩენის იმპორტი ათასია.შშ. დოლარი



ქაღალდის ნარჩენების ადგილობრივი ბაზარი რეციკლირებისათვის სექტორს აწვდის 370 ტონა მაკულურულ წელიწადში, რაც აკმაყოფილებს ქაღალდის ნარჩენებზე მოთხოვნის 32%.



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური; რეციკლირების საწარმოების კვლევა.

საქართველოში ქაღალდის ნარჩენის მართვის არსებული სისტემა საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს მის გასამწვანებლად. წარმოქმნილი ქაღალდის ნარჩე-

ქაღალდის ნარჩენის გადამუშავების სრუქტურა ტონა/წელიწადი

რეციკლირებული	370	0,8 %
გატანილი ნაგავსაყრელზე	46680	99,2 %
სულ გადამუშავებული	47050	100 %

ნის გადამუშავებაში რეციკლირების წილი შეადგენს 1%.

ქაღალდის რეციკლირებისათვის მოქმედი საწარმოების ძირითადი ნაწილის ტექნიკური აღჭურვილობა კუსტარულია ან მოძველებული. მიუხედავად მათი წარმოების დაბალი წარმადობისა, ქაღალდის ნარჩენების ბაზზე ნედლეულის დეფიციტის გამო, საწარმოები ახერხებენ მათი საწარმოო შესაძლებლობის 50% - 80% ამოქმედებას.

მოძველებული ტექნოლოგიებისა და არასახარბიერლო საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს პირობებში, ადგილობრივი რეციკლირების სექტორს უჭირს სამომხმარებლო ბაზარზე მაღალხარისხიანი, კონკურენტული პროდუქციის მიწოდება. ადგილობრივ პროდუქციას სამომხმარებლო ბაზარზე უჭირავს დაბალხარისხიანი და იაფი ჰიგიენური ქაღალდის ნიშა.

ქაღალდის რეციკლირების საწარმოები, სექტორის განვითრების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად ასახელებენ:

- ა) სეპარაციის სისტემის არარსებობას;
- ბ) ნარჩენების მოძრაობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობს;
- გ) მოუწესრიგებელ ნარჩენების ბაზარს.

საქიონო ცვლილებები ქაღალდის რაციონალური საქტორის „გასამრვანებლად“

ქაღალდის ნარჩენების შეგროვება და ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. რეციკლირების სექტორი საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს და ინვესტიციებს მის გასაძლიერებლად და გასამწვანებალად.

1) ქაღალდის ნარჩენების აღრიცხვის სისტემის დანერგვა:

ნარჩენების წყაროების და მოძრაობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არ არსებობა შეუძლებელს ხდის ნარჩენების მართვის სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებას. რეგულირების ინსტრუმენტების დანერგავას, კვლევებისა და მონიტორინგის განხორციელებას. ასევე, შეზღუდულია რეციკლირების ბიზნესის დაგეგმვა და ახალი ბაზ-

რებისა და განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა.

2) ქაღალდის ნარჩენების კლასიფიკაცია და სტანდარტიზაცია:

ნარჩენების კლასიფიკაცია და სტანდარტიზაცია საშუალებას მისცემს ქაღალდის ნარჩენების ბაზარს გაამრავალფეროვნოს გამოტანილი პროდუქტი და გააჩინოს ახალი შესაძლებლობები რეციკლირების პროდუქციის წარმოებისათვის. ასევე, შესაძლებელი გახადოს მეორადი ნედლეულის ხარისხის სტანდარტის რეგულირება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის რეციკლირების სექტორის პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე.

3) ქაღალდის სეპარაციისა და შეგროვების ფორმალიზებული და სტრუქტურირებული სისტემის ჩამოყალიბება:

სეპარაციისა შეგროვების სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეწყობს, ქაღალდის ნარჩენების სეგრეგაციას და შეამცირებს მათ ნაგავსაყრელებზე მოხვედრას. სეპარაცია ხელშესახებად გაზრდის ქაღალდის ნარჩენების ბაზრის მოცულობას და ხელს შეუწყობს მის ფორმალიზებას.

4) ქაღალდის ნარჩენები ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება:

ქაღალდის ნარჩენების ბაზრის ფორმალიზება და სტრუქტურირება ხელს შეუწყობს ნარჩენებით თავისუფალ ვაჭრობას და კონკურენციის ზრდას, ვაჭრობის ლეგალიზაციას და ლიაობას. ნარჩენების ბაზრის გაფართოებას და გამრავალფეროვნებას, რაც თავის მხრივ გაზრდის ნარჩენების ფასს და გააჩენს მოთხოვნას ახალ საბაზრო პროდუქტებზე. მრავალფეროვანი და სტანდარტიზირებული ბაზარი გააჩენს ახალ შესაძლებლობებს რეციკლირების ბიზნესისათვის.

5) ქაღალდის ნარჩენის რეციკლირების საწარმოების, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა, ახალი ტექნოლოგიების, ინფორმაციების და გარემოსდაცვითი რეგულაციების და სტანდარტების დანერგვა:

საწარმოები საჭიროებენ ტექნოლოგიურ განახლებას, რათა აწარმოონ კონკურენტული და მაღალი ხარისხის პროდუქციას. რაც ასევე, გაზრდის მათ მიერ რეციკლირებული ნარჩენის მოცულობას. გარემოსდაცვითი რეგულაციები საწარმოებს

გახდის უფრო მდგრადს და მიმზიდველს ინვესტიციების მოსაზიდად და უზრუნველყოფს დასაქმებულთა ღირსეული შრომის სტანდარტების დამკვიდრებას.

შესაფუთი მასალის ნარჩენების შეაროები და მოძრაობა

ეკონომიკური განვითარების და ურბანიზაციის თანმდევი პროცესია შესაფუთი მასალის მოცულობის და მრავალფეროვნების მკვეთრი ზრდა. შესაფუთი მასალების ზრდის შემცირება და წარმოქმნილი ნარჩენის მოვლა, წარმოადგენს გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ნარჩენების მართვის ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას და გამოწვევას. არსებული გარემოსდაცვის სახელმწიფო პოლიტიკა, არ განიხილავს შესაფუთ მასალებს თავის პრიორიტეტებში. თვლის რომ არსებული ეკონომიკური აქტივობის პირობებში შესაფუთი მასალებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმალურია და ექვემდებარება თვითრეგულირებას. შესაბამისად, არ წარმოებს შესაფუთი მასალების წყაროების და მოძრაობის აღრიცხვა და მონიტორინგი. შეფასებითი კვლევებისა და ანალიტიკური ინფორმაციის უქონლობის გამო, ფაქტიურად შეუძლებელია რაიმე შეფასების გაკეთება შესაფუთი მასალების წარმოქმნის წყაროებზე, ზრდის დინამიკაზე, მის მრვალფეროვნებასა თუ მოძრაობის შესახებ.

შესაძლებელია მხოლოდ არპირდაპირი დაკვირვებებით მსჯელობა ამ სექტორის მდგრმარეობაზე და მის ზემოქმედებაზე.

შესაფუთი მასალების ნარჩენების მოცულობის ზრდა აისახა მუყაოს ნარჩენების ბაზრის დინამიკაზე. კერძოდ, ბოლო სამ წელიწადში მკვეთრად გაიზარდა მუყაოს ნარჩენების იმპორტი. რაც თავისთავად, აჩენს ახალ შესაძლებლობებს მუყაოს რეცილირების განვითარებისათვის.

რაც შეეხება პოლიეთილენის შესაფუთ მასალას, ის მთლიანად ხვდება ნაგავსაყრელებზე. ინფორმაციის სიმწირე, შეუძლებელს ხდის შევაფასოთ წარმოქმნილი პოლიეთილენის შესაფუთი მასალის მოცულობა და დინამიკა. თუმცა, თვალსაჩინოა გარემოში გაბნეული პოლიეთილენის ნარჩენის მკვეთრი ზრდა. პოლიეთილენის შესაფუთი მასალით გარემოს დაბინძურება უკვე იწვევს საზოგადოების შეშფოთებას. სახელმწიფო პოლიტიკა ამ პრობლემის მოგვარებასაც უყურებს „მილის ბოლოს“ პრინციპით, კერძოდ, შემოიფარგლება გარემოში გაბნეული ნარჩენების მოკრების კამპანიებით და დაბინძურებაზე ჯარიმების სისტემის შემოღებით. ეს ღონისძიებები არანაირ ხელშესახებ ეფექტს არ იძლევა.

შესაფუთი მასალების მართვის სექტორი საჭიროებს მნიშვნელოვან „მწვანე“ ცვლილებებს. შესაფუთი მასალების წარმოქმნის შემცირებისა და ნარჩენების მოვლის ერთიანი სტრატეგიისა და საბაზრო სტიმულების შემუშავებას.

ჟალვის შახახაბა

რეცილირების სექტორის კვლევამ გამოავლინა ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პოლიტიკაში გასატარებელი ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სექტორის გაძლიერაბას და „მწვანე“ ზრდას.

- კვლევამ გვიჩვენა, რომ დამკვიდრებული აზრი, თითქოს რეცილირების სექტორის განვითარებას აფერხებს გენერირებული ნარჩენების სიმცირე და გადამუშავების მაღალი ღირებულება, არის მცდარი და საჭიროებს ცვლილებას.
- ცვლილებას საჭიროებს ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პოლიტიკაში ნარჩენისადმი მიდგომა. კერძოდ, ნარჩენი განიხილება, როგორც ეკონომიკის განვითარების თანმდევი ნეგატიური ტენირობა.

რომელიც უნდა განთავსდეს ისე რომ არ შეექმნას საფრთხე გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. საჭიროა ნარჩენი განიხილონ, როგორც მეორადი რესურსი, რომლის ჩართვაც უნდა მოხდეს ეკონომიკურ ციკლში.

- ცვლილებას საჭიროებს მიდგომა - ნარჩენების მართვა მხოლოდ ერთი, „მილის ბოლოში“ პრინციპით, რადგან ის ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოებასა და გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირებას.
- ნარჩენების მართვაში არსებული მდგრმარეობა არის დრამატული და საჭიროებს გადაუდებელ ქმედებებს მის გამოსაწორებლად. არ არსებობს ნარჩენების

მართვისერთიანი პოლიტიკა ან სამოქმედო გეგმა. არსებული საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია. კვალიფიცირებული პერსონალის და სახსრების უკმარისობის გამო, ინსტიტუციური სტრუქტურების საქმიანობა პრობლემურია. კვლავ გრძელდება ნარჩენების არასათანადოდ განთავსება (ეგრეწოდებელ „სტიქიურ“ ნაგავსაყრელებზე”.

- ცვლილებას საჭიროებს მუნიციპალური ნარჩენების აღრიცხვის სისტემა. არსებული სისტემა არ იძლევა საშუალებას შევაფასოთ ნარჩენების მართვის რეალური ღირებულება. იმისათვის რომ შესაძლებელი იყოს მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის „გამწვანების“ ეფექტური პროგრამების შემუშავება, აუცილებელია, მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვაში „სრული ღირებულების აღრიცხვის სისტემის“ დანერგვა (Full Cost Accounting for Municipal Solid Waste Management)
 - რეციკლირების სექტორის განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია, ფორმალიზებული და სტრუქტურირე-

ბული ნარჩენების ბაზრები. რაც, მოითხოვს ნარჩენების აღრიცხვას, კლასიფიცირებას და მეორადი ნედლეულისა და პროდუქტების სტანდარტიზაციას.

ნარჩენების ბაზრის და რეციკლირების სექტორის მდგრადობისათვის, მათი სოციალური და ეკოლოგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების და ეკონომიკური სტიმულების ამოქმედება. გასათვალისწინებელია, რომ არ არსებობს ერთი უნივერსალური სქემა ყველა პრობლემისათვის. რეგულაციები და ეკონომიკური სტიმულები შიძლება იყოს განსხვავებული ნარჩენების სახეობის მიხედვით და მისადაგებული კონკრეტული რეგიონის პირობებს და მოთხოვნებს. ცვლილებას საჭიროებს საზოგადოების დამოკიდებულება რეციკლირებული პროდუქციისა და ნარჩენებისადმი. საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ნარჩენების სექტორის „გამწვანების“ და რეციკლირების განვითარებისათვის.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତପ୍ରକାଶନ ଲ୍ୟାବିଲିଟିର୍ସ

1. Global Green New Deal”. Policy brief. United Nations Environment Programme. March 2009.
 2. OECD (2011a), Green growth strategy Synthesis Report www.oecd.org/greengrowth
 3. Full Cost Accounting for Municipal Solid Waste Management, United States Environmental Protection Agency, Solid Waste and Emergency Response 5305W
 4. Global Green New Deal”. Policy brief. United Nations Environment Programme. March 2009. www.unep.org/pdf/A_Global_Green_New_Deal_Policy_Brief.pdf
 5. Green Business Support Strategy For Georgian Private Business Organizations And Employers Associations, Developed by: Zaal Lomtadze, Nato Kirvalidze; Tbilisi, 2011
 6. GEO- ქალაქი თბილისი: საქართველოს დედაქალაქის მდგომარეობის და ტენდენციების ინტეგრირებული გარემოსდაცვითი შეფასება (2011)
 7. UN ECE, ENVIRONMENTAL PERFORMANCE REVIEWS GEORGIA, Second Review, ECE/CEP/157, New York and Geneva, 2010
 8. From waste to resource: an abstract of world waste survey 2009, philippe chalmin, catherine gaillochet
 9. UNEP, 2011, Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradicatio, http://www.unep.org/greeneconomy/Portals/88/documents/ger/ger_final_dec_2011/Green%20EconomyReport_Final_Dec2011.pdf

სარჩევი

შესავალი	2
ნარჩენების მართვის სექტორის გამწვანება	2
ნარჩენების მართვა, ინსტიტუციური მოწყობა და რეგულირების მექანიზმები	4
მყარი მუნიციპალური ნარჩენები	3
მუნიციპალური ნარჩენების სტრუქტურა	3
ნარჩენების ბაზარი	5
ნარჩენების რეციკლირების სექტორი	9
მყარი მუნიციპალური ნარჩენის რეციკლირების (გადამუშავების)	
სტრუქტურა	10
შავი ლითონის რეციკლირება	10
ფერადი ლითონის რეციკლირება	12
საჭირო ცვლილებები ფერადი ლითონის რეციკლირების	
(გადამუშავება) სექტორის გასამწვანებლად	13
მინის ნარჩენების რეციკლირება	13
მუყაოს ნარჩენების რეციკლირება	15
საჭირო ცვლილებები მუყაოს რეციკლირების სექტორის გასამწვანებლად	16
პლასტმასის ნარჩენების რეციკლირება	17
ქაღალდის ნარჩენების რეციკლირება	19
შესაფუთი მასალის ნარჩენების წყაროები და მოძრაობა	21
კვლევის შეჯამება	21
გამოყენებული ლიტერატურა	22



პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმის საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო და მდგრადი განვითარების კავშირი „ეკონედვა“-ს მიერ



ძირითადად 7 სახის პლასტმასის ნარჩენები რეციკლირდება, რომელთაც სეპარაციის გასაადვილებლად გააჩნიათ შესაბამისი ნიშნები/ეტიკეტები:



1. PET ან PETE – წყლის, ლუდის და სხვა მსუბუქი სასმელების ბოთლები, საკვების შესაფუთი მასალა;
2. PE-HD ან HDPE – საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქიმიური საშუალებების ბოთლები, სათამაშოები და სხვა;
3. PVC ან V – კარებები და ფანჯრები, მილები, ბოთლები სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებისთვის და სხვა;
4. PE-LD ან LDPE – ნაგვის ურნები, კონტეინერები, სხვადასხვა ბოთლები და სხვა;
5. PP – მაგიდები, სკამები, ყუთები, ქილები და სხვა;
6. PS – სამზარეულოს პლასტმასის ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ყუთები დისკებისთვის და სხვა;
7. სხვა პლასტმასი – ბავშვის ბოთლები, კომპიუტერის კორპუსები, ავტომობილის ნაწილები და სხვა.



SWEDEN

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ფინანსური უზრუნველყოთ



საქართველოს გარემონტურული სამინისტრო

პროექტი „დავასუფთაოთ საქართველო - საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ხორციელდება საქართველოს გარემონტურული სამინისტროს მხარდაჭერით

პუბლიკაცია მოამზადა: პავლე ცაგარეიშვილმა
დიზაინი: ირაკლი გულედანი

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო

საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №10ა
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2399543; ელ-ფოსტა: info@greens.ge
Web-გვერდი: www.greens.ge www.cleanup.ge